




საგარეო აუდიტის სამსახური





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს (პროგრამული კოდი: 04 00, 09 00) 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტის
ანგარიშის შედეგების შესახებ

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
1.1. ვალდებულებები	4
1.2. აქციები და სხვა კაპიტალი	5
1.3. გრანტები	6
1.4. წმინდა ღირებულება	6
სხვა საკითხთა აბზაცი	7
2.1. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრები	7
2.2. მოთხოვნები.....	8
2.3. გრანტები	8
2.4. აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი	9
2.5. შრომის ანაზღაურება.....	10
2.6. სახელმწიფო შესყიდვები	10
2.7. პროგრამული ბიუჯეტი	10

ტერმინთა განმარტება

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - **სამინისტრო**;

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - **მინისტრი**;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**;

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა - **პალატა**;

სსიპ ბათუმის ბულვარი - **ბულვარი**;

ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი - **ინკუბატორი**.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1. ვალდებულებები

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების სახით ირიცხება 270,166 ლარი, რაც 76,577 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი. აღნიშნული გამოწვეულია ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული სუსტი შიდა კონტროლის სისტემით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს დავალიანებების სწორ და დროულ აღრიცხვას. კერძოდ:

- სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სამშენებლო - კომერციული კორპორაცია ხიდის“ მიმართ არაფინანსური აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების სახით ირიცხება 70,277 ლარი. დავალიანება წარმოქმნილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების¹ ფარგლებში, რომლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სამინისტრო ახორციელებდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 3%-ის დაკავებას. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაკავებული თანხის მიმწოდებელზე დაბრუნება შესაძლებელი იყო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის შემდეგ, ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ხარვეზის აღმოფხვრის პირობებში.

სამინისტროს საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად, შპს „სამშენებლო - კომერციული კორპორაცია ხიდის“, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესრულებული აქვს 2,518,508 ლარის, ხოლო შესასრულებელი დარჩა - 735,490 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელთა შესრულებასა და ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე უარი განაცხადა. აღნიშნულის გამო, ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა. შესაბამისად, სამინისტროს უნდა ჩამოეწერა შპს „სამშენებლო - კომერციული კორპორაცია ხიდის“ მიმართ ვალდებულების სახით რიცხული 70,277 ლარი, რაც არ განუხორციელებია;

- სსიპ - ბათუმის ბულვარის ფინანსურ ანგარიშგებაში, შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მიმართ ირიცხება 12,945 ლარის კრედიტორული დავალიანება. შესრულებული სამუშაოების მიღებისა და ღირებულების ანაზღაურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ირკვევა, რომ შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მიმართ რიცხული დავალიანება შესამცირებელია 6,300 ლარით.

ვალდებულების არასწორად (გაზრდილად) წარმოდგენა იწვევს სამინისტროზე გასანაწილებელი საბიუჯეტო რესურსის შესახებ არადაეკვატური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მოცემული გარემოება წარმოშობს მხარჯავი დაწესებულების მხრიდან დაგეგმვის ეტაპზე

¹ ხელშეკრულება N124, 21.05.2015. ღირებულება - 3291891 ლარი.

საბიუჯეტო ასიგნების დაუსაბუთებელი მოთხოვნისა და მხარეთა გარიგების შედეგად საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს.

რეკომენდაცია N1

სამინისტროს

სსიპ ბათუმის ბულვარს

ბუღალტრული კორექტირების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა. ამასთან შეიქმნას და დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომელიც გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების სათანადო მონიტორინგით, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაო/მომსახურების ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფს ვალდებულებების ზუსტ აღრიცხვას.

1.2. აქციები და სხვა კაპიტალი

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, აქციებისა და სხვა კაპიტალის ნაშთი 136,389,045 ლარს შეადგენს, რაც 4,872,309 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი. აღნიშნული გამოწვეულია ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული სუსტი შიდა კონტროლის სისტემით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტების დანიშნულებისამებრ დროულ მიწოდებას. კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, მართვის უფლებით გადაეცა², აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ 100%-იანი წილი - 3,449,997 ლარის საწესდებო კაპიტალით; შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ 100%-იანი წილი - 1,210,048 ლარის საწესდებო კაპიტალით; შპს „N1 პოლიკლინიკის“ 100%-იანი წილი - 188,364 ლარის საწესდებო კაპიტალით და შპს „სამედიცინო განათლების“ - 100%-იანი წილი - 23,900 ლარის საწესდებო კაპიტალით. აღნიშნული ინფორმაციის არარსებობის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო სამსახურის მიერ, ფინანსურ აღრიცხვაში ცვლილებები არ არის განხორციელებული.

აქციებისა და სხვა კაპიტალის სწორად ასახვა მნიშვნელოვანია ფინანსური პოლიტიკისა და ანალიზისათვის, ვინაიდან იგი იძლევა ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში დაბანდებულ და სამინისტროს მართვაში არსებული ფინანსური აქტივების შესახებ, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული აქტივების შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 26 ივლისის N136 ბრძანება.

რეკომენდაცია N2

სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად მომზადებისა და წარდგენის მიზნით, დაკორექტირდეს აქციებისა და სხვა კაპიტალის ნაშთი და შესაბამისობაში მოვიდეს საწარმოთა მართვის კუთხით განხორციელებულ ცვლილებასთან.

1.3. გრანტები

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული გრანტის სახით მიღებული 1,425 კვ.მ შენობა-ნაგებობება, რაც არასწორი ფინანსური აღრიცხვის შედეგია. კერძოდ:

- სსიპ - ბათუმის ბულვარს, 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, გრანტების სახით მიღებული აქვს 81,086,580 ლარის ძირითადი აქტივები. მათ შორის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია 229,116 კვ.მ - 81,086,580 ლარის ნორმატიული ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა ამავე ხელშეკრულებებით გადმოცემული 1,425 კვ.მ შენობა-ნაგებობა არ არის შეფასებული და აღრიცხული ბულვარის ბალანსზე.

მნიშვნელოვანია, სრულად აღირიცხოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში თუ სარგებლობაში არსებული აქტივები, რაც განაპირობებს მმართველობის შესაბამისი ორგანოების მხრიდან მათ გამოყენებასთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. ამასთან, აღრიცხვაში მათი გამოტოვება და აქედან გამომდინარე, კონტროლის არარსებობა წარმოშობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უკანონო გამოყენების ან გასხვისების შესაძლებლობას.

1.4 წმინდა ღირებულება

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს აქტივების წმინდა ღირებულებამ 426,312,574 ლარი შეადგინა, რაც 965,617 ლარით, უზუსტოდ (შემცირებულად) არის წარმოდგენილი, რაც აღრიცხვაში დაშვებული შეცდომით არის გამოწვეული. კერძოდ:

- სსიპ - ბათუმის ბულვარის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N4-ის შესაბამისად, „გრანტების“ მუხლით მიღებული ფაქტობრივი შემოსავალი 965,617 ლარს შეადგენს, რაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან უსასყიდლოდ მიღებული მიწის ნორმატიულ ღირებულებას წარმოადგენს და შესაბამისად, უნდა აღრიცხულიყო ბულვარის ფინანსური ანგარიშგების დანართ N3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“³.

³ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მოცემული უზუსტობის შედეგად ბუღვარის წმინდა ღირებულება შემცირებულია, ხოლო საკუთარი კაპიტალი გაზრდილია 965,617 ლარით.

რეკომენდაცია N3

სამინისტროს

სსიპ ბათუმის ბუღვარს

საბუღალტრო ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებებით უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებებში გრანტებისა და წმინდა ღირებულების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა. ამასთან მნიშვნელოვანია, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომელიც უზრუნველყოფს გრანტის სახით მიღებული აქტივების სრულ აღრიცხვას, რაც ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან შედგენას და შესაბამისად სანდოობის ხარისხის ამაღლებას განაპირობებს.

სხვა საკითხთა აზიზი

2.1. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრები

გამოვლენილი გარემოებები

- სსიპ - აჭარის ა/რ სავაჭრო - სამრეწველო პალატის 2017 წლის ბალანსის დანართ ფორმა N4-ში, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული ფაქტობრივი შემოსავლი 45,165 ლარს შეადგენს, რაც 1,716 ლარით მეტია საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს ნაღდი ანგარიშსწორების წესით. სალაროში ნაღდი ფულის მოძრაობის აღრიცხვისათვის არ გამოიყენება სალაროს წიგნი, არ არის განსაზღვრული ნაღდი ფულის ნაშთის მოცულობა და არ არის გაფორმებული ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ⁴.

შესაბამისად, მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაუცველად, ნაღდი ფულის მიღება-ხარჯვა წარმოშობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების არამიზნობრივად გამოყენების ან/და მითვისების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N4

სსიპ აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატას

შესაბამისობაში მოვიდეს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით საბუღალტრო და საბალანსო მონაცემები. ამასთან, კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით და ეფექტური შიდა კონტროლის სისტემით, უზრუნველყოფილ იქნეს სალაროში ნაღდი ფულის მიღება-ხარჯვის კანონიერება.

⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები და მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

2.2. მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოებები

- სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, ამავე დაწესებულების თავმჯდომარის მოადგილის სახელზე დებიტორული დავალიანების სახით ირიცხება 14,424 ლარი. აღნიშნული განაპირობა 2010 წელს სარემონტო სამუშაოებისათვის სალაროდან გაცემული თანხის დანიშნულებით გამოყენების სრულყოფილი დოკუმენტების წარმოდგენლობამ.

შესაბამისად, 2010 წელს ანგარიშქვეშ გაცემული თანხა, აუდიტის პერიოდისათვის ისევ დავალიანების სახით ირიცხება, თუმცა მისი დაფარვისათვის სავაჭრო-სამრეწველო პალატას რაიმე სახის ღონისძიებები არ გაუტარებია, რაც წარმოშობს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კუთვნილი თანხების მითვისების მიზნით, დავალიანების ხანდაზმულობის მოტივით ჩამოწერის რისკებს.

რეკომენდაცია N5

სამინისტროს

სსიპ აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატას

გატარდეს ყველა შესაძლო სამართლებრივი ღონისძიებები დავალიანების დროული დაფარვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეიქმნას და დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომელიც შესაბამისი საფუძვლების მოთხოვნების დაცვით უზრუნველყოფს ანგარიშქვეშ გაცემული თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

2.3. გრანტები

გამოვლენილი გარემოებები

- გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობასთან (UNDP) პროექტის - „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორს ფულადი გრანტის სახით მიღებული აქვს 56,700 ლარი. გრანტის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ 55,500 ლარი გამოყენებულია პროექტის ფარგლებში, ფერმერებისა და ფერმერთა კოოპერატივების კონსულტირების მიზნით, დაქირავებული სპეციალისტების მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისათვის, თუმცა აუდიტის პერიოდისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული საკონსულტაციო მომსახურების, შინაარსის, რაოდენობისა და პერიოდულობის შესახებ.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება გრანტის სახით მიღებული 55,500 ლარის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა გრანტის სახით მიღებული სახსრების არამიზნობრივ გამოყენებასთან იყოს დაკავშირებული.

რეკომენდაცია N6

ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორს

დაინერგოს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც საგრანტო ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით, დოკუმენტურად დადასტურებული მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფს გრანტის სახით მიღებული სახსრების დანიშნულებით გამოყენებას და შესაბამის ანგარიშგებას.

2.4. აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

გამოვლენილი გარემოებები

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წელს, თუმცა აუდიტის პერიოდისთვის პროექტის განხორციელება არ დაწყებულა და არც სესხის თანხაა ათვისებული. შედეგად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე (2,7 მლნ. ევრო) ხორციელდება⁵ ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0,5% ოდენობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, ჯამურად გაწეულია 163,522 ევროს ხარჯი⁶, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსიდან თანხები არ მიუმართავთ. საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში ვალდებულების კლების საბიუჯეტო გეგმის შესრულების მაჩვენებელი დაბალია. კერძოდ, სესხის დასაბრუნებლად 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 592,809 ლარის ნაცვლად, გაიხარჯა 7038 ლარი, რაც გეგმის 1,2% -ს შეადგენს.

აღნიშნული განპირობებულია პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების არარსებობით და სხვადასხვა ეტაპზე ხელისშემშლელი⁷ გარემოებებით, რომელთა გადასაჭრელად ქმედითი და დროული ღონისძიებები არ არის გატარებული. შედეგად ვალდებულების გადასახადის სახით საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად დაიხარჯა.

რეკომენდაცია N7

სამინისტროს

საკრედიტო რესურსით მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი/არაეფექტური ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, დროულად იდენტიფიცირებული იქნეს პროექტის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, უზრუნველყოფილ იქნეს მოზიდული რესურსების დროული და ეფექტიანი გამოყენება.

⁵ 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სესხის მიმღები აუთვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს, წლიურად 0,5%-ის ოდენობით.

⁶ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს - 30 000 ევროს, პროცენტის ხარჯს - 2 982 ევროს, ვალდებულების გადასახადს - 119 290 ევროს და სესხის ძირითადი თანხის - 11 250 ევროს დაფარვას.

⁷ ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილის ცვლილება, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების თაღლითური გზით მითვისება და ა.შ.

2.5. შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

რეკომენდაცია N8

სამინისტროს

შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას.

2.6. სახელმწიფო შესყიდვები

გამოვლენილი გარემოებები

- აუდიტის პერიოდში, სამინისტროს შესყიდვების განყოფილების მიერ ბაზრის კვლევა, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული 94 შესყიდვიდან, არ არის განხორციელებული 54 შემთხვევაში. შედეგად შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რაც მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობების განსაზღვრისათვის ბაზრის მოკლევადიან გამოიხატება.

რეკომენდაცია N9

სამინისტროს

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, შესყიდვების დაგეგმვისას, განხორცილდეს ბაზრის სათანადო კვლევა, რომელიც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრას და შესაბამისად ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას უზრუნველყოფს.

2.7. პროგრამული ბიუჯეტი

გამოვლენილი გარემოებები

- სამინისტროში ადგილი აქვს ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბურ გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე და ქვეპროგრამებზე, რაც პროგრამის არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს.
- არ ხდება ასიგნებების გადანაწილების შედეგად პროგრამაში სათანადო ცვლილებების შეტანა და პარამეტრების დაზუსტება.
- რიგ შემთხვევებში არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება, წინასწარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში.

რეკომენდაცია N10

სამინისტროს

საბიუჯეტო პროგრამების დაგეგმვა რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე უნდა განხორციელდეს და მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მოხდეს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების დაზუსტება. ამასთან, საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგების სრულყოფის მიზნით, მოხდეს პროგრამების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება, წინასწარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE